



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### მგალობლიშვილი თინათინ (თინა) მიხეილის ასული

მგალობლიშვილი თინათინ (თინა) მიხეილის ასული (დ. 23. I. 1937, თბილისი), საქართველო. ტელევიზიისა და რადიომუშაობის სახელმწიფო კომიტეტის დირექტორი. საქართველო. დამს. არტისტი (1987). 1959 დაამთავრა თეატრ. ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტი. გაახმოვანა 600-მდე კინოგმირი, მათ შორისაა მარია („ნატვრის ხე“, რეჟ. თ. აბულაძე), ხათუნა („როცა აყვავდა ნუში“, რეჟ. ლ. ლოლობერიძე), ესმა („სამი სიცოცხლე“, რეჟ. ი. პერესტიანი), თამარი („მთვარის მოტაცება“, რეჟ. თ. მელიავა), შორენა („დიდოსტატის მარჯვენა“, რეჟ. ვ. ტაბლიაშვილი, დ. აბაშიძე) და სხვ. წლების განმავლობაში იყო საინფორმაციო პროგრამა „მოამბის“ წამყვანი. რადიოში მიჰყავდა მხატვრულ-ლიტ. გადაცემები. 2021 მთაწმინდაზე, ტელეანძის მიმდებარედ, გაიხსნა მ-ის ვარსკვლავი.

---